

## საქართველოს კანონი

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

#### მუხლი 1

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, 24.06.1997წ. №31, გვ.1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-300 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს. თუ კრედიტორს (იპოთეკარს) წარმოადგენს კომერციული ბანკი, მაშინ რეგისტრაციისთვის საკმარისია მხოლოდ კომერციული ბანკის მიერ განცხადების საჯარო რეესტრში წარდგენა.“.

2. 302-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> ნაწილი:

„3<sup>1</sup>. კრედიტორისა და მესაკუთრის წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისთვის გადაცემა და რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული გარიგება დადასტურებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით.“.

3. 410-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 410. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმა**

ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.“.

4. 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების

შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.“.

5. 1445-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1445. უარის დაუშვებლობა სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის შემდეგ**

არ დაიშვება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს ან სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ.“.

6. 1495-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1495. ცნება**

ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად ნოტარიუსი დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელ ზომებს, რაც გაგრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე.“.

7. 1499-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მემკვიდრეებად მოწვეულ პირებს შეუძლიათ სანოტარო ორგანოსაგან მოითხოვონ სამკვიდროს მოწმობა.“.

## **მუხლი 2**

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

**საქართველოს პრეზიდენტი**  
**სააკაშვილი**

**მიხეილ**